№ 73 აპრილის 9, სამშაბათი. 1866—1885 აპრილის 9, სამშაბათი. № 73.

„დროებ“ის რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯიშვილის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშიგე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე პარშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე ერთ ადგილზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული-უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 ფაზ. ფოსტაკი ხელოვნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვადრატზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს და უბეჭდელ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს აგზორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მარიამ დიმიტრის ასული და ლუარსაბ ალექსამდრეს-ძე მაღალაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ თავიანთის შვილის გიორგის გარდაცვალებას და მოიწვევენ ხვალ, აპრილის 10-ს დილის 10 საათზედ პანაშვიდის გადასახდელად, ძველს დამოქონაში, საკუთარ სახლში. იქიდგანაც გასასვენებლად სოფ. თელოვანს.



სადავო ადგილების რუკა

ბნელაში მოსიარულე კაცსა ჰკავს იმისთანა მკითხველი, რომელსაც ყოველ დღე ესმის სხვა და-სხვა უცნობი ადგილების სახელები, იცის რომ ამ ადგილებში დიდის ყურადღების ღირსი ამბები ჰხდება, მაგრამ სრული წარმოდგენა კი არა აქვს, სად არიან იგინი და რა გვარი დამოკიდებულებაა მათ შორის. არა თუ ჩვენის გაზეთის, მთელის ქვეყნის გაზეთების მკითხველებს ეს ორი თვეა ყურები გამოჭედილი აქვთ იმ ადგილების სახელებით, რომელნიც აქამომდე არ ცერთს ჩვენთაგანს არასოდეს არ გაუგონია და გეოგრაფიაში დახელოვნებულთათვისაც კი უცნობნი არიან. ამ აზრით ჩვენ გადმოვიღეთ ინგლისურ გამოცემებიდგან ეს რუკა, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინოდ გაგვაცნობს როგორც აწინდელს ბრძოლის ველს, ისე იმ ადგილებსაც, რომელთაც მომავალში, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა მიეცემათ.

ზემოთი მხარე მკითხველების წინაშე მდებარე რუკისა წარმოადგენს ჩრდილოეთს და უკიდურეს ადგილად აღებულია მერვი, რომელიც ამ ჟამად რუსეთის ხელშია; ქვემოთი მხარე—სამხრეთისა—თავდება ჰერათით, აღანისტანის ერთის უმთავრესი ქალაქით, რომელშიაც 50,000 ათასამდე მცხოვრებია და რომელიც ითვლება გასაღებად ანუ კარად ინდოეთისა. ამ ორის ადგილის შორის—მერვისა და ჰერათისა — 350 ინგლისურ მილამდე, ანუ 420 ვერსამდეა. მარჯვნივ, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთისკენ მიმდინარეობს მდინარე მურღაბი, რომელიც პარაპამიზის მთებიდამ იწყება. მურღაბში ჩადის მდინარე ქუშკა აღთაფასთან და ამ ორის მდინარის შესართავთან მდებარებს აწ სახელ-განთქმული პენჯდე, რომელიც ამ ცოტანს ხანში აღანელების ხელში იყო და სადაც ეხლა რუსების მიერ დროებითი მმართველობაა დადგენილი. მერვისკენ, ჩრდილოეთით, მდ. მურღაბი რამდენიმე ტოტად იყოფება და შემდეგ სრულიად იკარგება ცხელს ქვიშიან უდაბნოში, ზღვამდე მიულწეველად. დასავლეთით, მარცხნივ, მიმდინარეობს მეორე მდინარე ჰერი-რუდი, რომელიც ჰერათის სამხრეთით იწყობა, მიდის ჯერ დასავლეთით, მერე ქუშანთან უხვევს ჩრდილოეთისკენ, იქ ჰკოფს სპარსეთს სათურქმენოდამ და მიდის სერაქსამდე. აქ იკარგება ქვიშაში, შემდეგ კიდევ იჩენს თავს და მდინარე ტეჯენდას სახელწოდებით მიდის ჩრდილოეთისკენ, გასავალს ვერ ჰპოებს და იგიც მურღაბის გვარად ქვიშაში იკარგება.

ეს ორი მდინარე შეადგენს სიცოცხლის ძარღვს მთელის ამ უდაბნოსათვის. მხოლოდ ამ მდინარეებზედა დგანან მომთაბარე თურქმენები ალაჩუყებში და აძოვებენ მათს ნაპირებზედ თავიანთ საქონელს. მურღაბზედ ცხოვრებენ მოუსვენარი საროქსები და ჯემშიდები, ხოლო ჰერი-რუდზედ უფრო მშვიდობის მოყვარე სალორები. ჰერათის ჩრდილოეთით ამ ორის მდინარის შორის მდებარე ადგილს ჰქვიან ბადღი. ბადღი სრულიად უწყლო და უნაყოფოა და ყოველგვარ—მცენარეულობას მოკლებული. მართალია მასში, როგორც რუკაში ნაჩვენებია, აქა იქ გზებია გაკვანილი, მაგრამ ამ გზებზედ სიარული მხოლოდ თურქმენებს თუ შეუძლიანთ, რომელთაც იციან სად ამოსთხარონ ჭა, რომ სასმელი წყალი გამოჩინონ. სწორედ ამ უწყლობის გამო აქ სიარული დიდს ჯარს არ შეუძლიან. ამისათვისაც მოხდა, რომ რუსეთის ჯარმა ორი მიმართულება ამოირჩია: მურღაბის გასწვრივ სამხრეთისკენ წინწაიწია უმთავრესმა ნაწილმა რუსეთის ჯარისამ პენჯდემდე, ხოლო მეორე უმცირესმა ნაწილმა დაიჭირა პულიხატუნი ჰერი-რუდზე და როგორც ისმის, დაიპყრა ზულფაგარის ხეობაც; საიდამაც ჰერათისკენ წასვლა აღარ გაჭირდება. როგორც თვით მკითხველი დაინახავს, სწორედ ამ მიზეზის გამო უმთავრესი გზები რუკაზედ მდინარეებს მისდევენ და მათგან იმით განირჩევიან, რომ უფრო სწორე ხაზს წარმოადგენენ შედარებით იმ მიხვეულ-მოხვეულ ხაზებისა, რომელნიც მდინარეებს უდრიან. რუკაზედვე სჩანს, რომ რამდენიმე გზა მიდის ჰერათამდე, ზოგი მარჯვნიდამ, ზოგი მარცხნიდამ და ეს გზები ადვილად სჭრიან ჰერათის ჩრდილოეთით ამართულს პარაპამიზის მთებს.

პენჯდეს დაპყრობით რუსეთმა გაანახევრა მერვისა და ჰერათის შუა მდებარე გზა და თუ ინგლისსა და რუსეთის შორის მშვიდობა ჩამოვარდა, თუ ინგლისმა დაუთმო ის მიწები, რომელნიც რუსებისაგან დაჩემებულს სამხღვარს ზევით მდებარებენ და თუ პენჯდეც რუსეთს დარჩა, მაშინ სამართლიანად ითქმის, რომ მერვის დაპყრობის დროს რუსეთს ჰერათამდე ორი ნაბიჯი ჰქონდა გადასადგმელი და პენჯდესა და ზულფაგარის ხეობის დაპყრობით, ერთი მათგანი კიდეც გადადგმული აქვსო.

რუსული ენა ბ-ნი ტებენკოვისგან დამარცხებული.

ბაზეთს „Кавказѣ“ № 89 ეკითხულობთ: „*Въ субботу, 6 апрѣля,* въ Тиф. собраніи состоится концертъ въ пользу осиротѣвшей семьи одного изъ членовъ нашего общества, недавно *скончавшагося* (члена ту общества?) въ Тифлисѣ. Устройство концерта поручено г. Корганову( ) и программа составлена очень удачно.“

მე, მახლას! ამას, როგორც იქნება, კიდევ გაიგებს კაცი; მაგრამ ყური დაუგდეთ ამავე შენიშვნის მეორე ნახევარს. რუსები რომ იტყვიან Китаиская тарабарщина სწორედ ეს არის.

Нельзя не относиться къ подобнаго рода движеніямъ (!!!) *общества* съ особымъ сочувствіемъ.

ჩვენის მხრით ბ. ტებენკოვს მოვახსენებთ, რომ безъ смѣха нельзя не относиться къ подобнаго рода враждебнымъ движеніямъ г. Тебенкова, направленнымъ противъ стиля и духа русской рѣчи.

Такое движеніе (ზევით подобнаго рода движенія общества, ქვემოდ такое движеніе — დალოცვილს როგორ დომხალივით აურევია მხოლოობითი და მრავლობითი რიცხვი!) успокоительно дѣйствуетъ на каждаго (თუმცა *такое движеніе общества успокоительно* (!), дѣйствуетъ на каждаго, მაგრამ ამ ნაირი движеніе აზრისა და გამოთქმისა очень неуспокоительно дѣйствуетъ на тѣхъ, кто въ русскомъ органѣ печати привыкъ

встрѣчать русскую рѣчь) кому угрожаетъ (!) послѣ жизненой борьбы (ძალიან ღრმად არის ნათქვამი — ფილოსოფიაა რაღა?) оставить міръ. (Кому-же, любопытно знать, не угрожаетъ неизбѣжная опасность оставить оный г. Тебеньковъ?), а вмѣстѣ съ тѣмъ *и* семью, *обреченную голодать* (!). Мы не сомнѣваемся, что Тиф. общество *сердечно* (съ участіемъ?) отнесется къ устраиваемому концерту“.

საბრალო რუსული ენა და სტილისტიკა ბ. ტებენკოვის ხელში. როცა ახლანდელ „Кавказъ“-ს ვჰკითხულობთ ძალა-უნებურად გვაგონდება ხოლმე ტერ-მელიქსეტიანცის მშვერმეტყველური რუსული მისს ნეტარ სსენებულ „Трудъ“-ში, მაგრამ განსხვავება ეს არის, რომ Трудъ-ს მარტო ფორქ დე პარი ჰკითხულობდა და «ქაკაზი» კი ძალა უნებურად ყველა კანცელიარებში უნდა იკითხონ. საბრალო კანცელიარისტები!

შინაური ქრონიკა

═ საგანგებოდ მოხდენილმა კრებამ ქუთაისის თავად-აზნაურობამის, რომელსაც მარტის 17-ს 1885 წ. ჰქონდა მ. ლაპარაკება იმაზედ, თუ როგორ მიეგებოს იმ დღეს, როდესაც იმპერატრიცა მკატერინე II-მ რუსეთის თავად-აზნაურობას გრამოტები უბოძა, გადასწყვიტა ამ დღის მოხსენებაში შემდეგი მონაწილეობა მიიღოს ქუთაისს თავადაზნაურობამ ხსენებული დღის მოგონებაში თავად-აზნაურობასთან ერთად, იქნება მოლაპარაკება თავად აზნაურთა საგუბერნიო მომავალს ჩვეულებრივს კრებაზედ.

═ ტელეგრამებიდამ სჩანს, რომ ამ ჟამად თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები იყიდება ქალაქისა — 89 მანათად, სოფლისა 88¾-ად. ქუთაისისა — ქალაქისა (18 წ) 91 მანათად, სოფლისა 90 ად.

═ „მწყემსში“ (№ 7) დაბეჭდილია: „ჩვენს გაზეთში ამას წინად მოუკანილი საეჭვო ხმა ქართული ენის სწავლის მოსპობის შესახებ ზუგდიდის და სენაკის მაზრის სახალხო სკოლებში, სამწუხაროდ, მართალი გამოდგა. მოგვაკვს აქვე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ცირგულიანრული მიწერილება ზუგდიდის და სენაკის მაზრათა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის.

შემდეგ თვით ცირგულიანრის დაბეჭდვისა, „მწყემსი“ განაგრძობს:

„ამ განკარგულებას სალხი, როგორც ამბობენ, ძლიერ დაუღონებია და სამეფოლება — ნამეტურ. დამტკიცებული და აღიარებულია მრავალ გზის, რომ უმირველესი მიზანი და დანიშნულება სახალხო სკოლებისა მდგომარეობს ამაში, რომ ამ სკოლებმა სალხში სარწმუნოებრივი და კეთილ-ზნეობრივი სწავლა გავრცელონ. მთავრობასაც, რასაკვირველია, ესეგე კეთილი მიზანი აქვს სახეში; მაგრამ აწინდელი საშუალებანი ამ მიზნის მიდწევისათვის, ჩვენის აზრით, უველა შესაბამად და სასარგებლოდ არ უნდა ჩაითვალონ. აი, კიდევაც ამისათვის ემდურიან სახალხო სკოლებს, რომ მათში სარწმუნოებრივი და კეთილ-ზნეობრივი სწავლა ნახევრობით ვერ ასრულებს თავის მიზანს. მართალია, საღმრთო სჯულს პირველი ადგილი უჭირავს სხვა სასწავლო საგანთა შორის, მაგრამ რადგან სახალხო სკოლებში სწავლება სწარმოებს ბავშებისთვის ეტნოგრაფიაზე, რომელსაც ბავშები სამი წლის განმავლობაში ვერ ითვისებენ ხეირიანად, საღმრთო სჯულის სწავლება ვერ მიდის გარკვეულად, ანგარიშ, რომ უმაწვილმა ორი-სამი ლოტეკა დასწავლოს ზეპირად და შ ნაწარსი კი არ გაეგებოდეს? ამის მოსასპობლად საჭიროა, სახალხო სკოლებში ამ ენაზე ასწავლიდენ უმაწვილებს რომელი ენა მათთვის გასაგებია. მეგრული ენა თუ ძირეული ენაა, უთუოდ ამ ენაზე უნდა შესდგეს საღმრთო სჯულის სასწავლო წიგნები: მაგრამ ჩვენ არასოდეს და არავისგან არ გაგვგონია, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა ისეთი უცხო ენა იყოს, როგორც ზოგიერთები იფიქრობენ.

„როგორც შეგიტყვეთ ჩვენ, ამ ორი მაზრის სამღვდელოებანი ამბობენ თხოვნა მიართვეს მთავარ-მმართებელს და სთხოვნენ მასს შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, რომ ქართული ენის სწავლება ისევ შემოღებულ იყოს სახალხო სკოლებში, რომ ქართული ენის სწავლების მოსპობით სულ არ დაეცეს ქრისტიანობის სწავლა, რადგან არსად და არასოდეს მეგრულს ენაზე წირვა-ლოცვა არ ასრულებულა და არც შეიძლება ასრულდესო. ჩვენ არ გვჯერა, რომ მმართებლობამ ეს სამღვდელოების კანონიერი თხოვნა არ შეიწყნაროს.“

═ იქვე ვკითხულობთ: მარტის 5 გორის ოდქის სამღვდელოებას ჰქონდა არა ჩვეულებრივი კრება (экстренный съѣздъ), რომელზედაც უნდა განეხილათ მის მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობის პავლეს წინადადებით სმეტა და ბლანი მომავალ სასულიერო სასწავლებლის შენობისა. ბლანი, უნდა მოგახსენოთ, მშვენიერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ 64,648 მანეთი უნდება ამ სასწავლებლის აშენებას. კიდრე კრება დაიწყობოდა, უველა დეპუტატები დაფიქრებული და დაღონებული იყვნენ. ისინი, ალბად, გრძნობდენ ამ შენობის აშენების საჭიროებას, თუმცა შეძლების უქონლობაც აწუხებდათ. ბოლოს ამ ღრუბელმაც მალე გადაიარა. გახსნეს კრება ჩვეულებრივის ლოცვით, აღმოიჩინეს თავიანთ შორის თავმჯდომარედ ქვემოსანდაგის მღვდელი მ. გრიგორი რუსიეკი, მსოფლო საქმის მწარმოებლად ვაეის მღვდელი მ. მისაილ მახაიაძე. შემდეგ საქმის მოსმენისა უველამ ერთხმად წარმოსთქვეს: „უარის თქმა, არ შეიძლება; ისიც კმარა, რომ ჩვენ ეტყვებით, ჩვენი შვილები მაინც ავცილოთ ამ გაჭირვებას“. კრებას, შემდეგ ამისა, დარჩა აღმოეჩინა წეარო ამ უზარმაზარ შენობისათვის. თავმჯდომარემ მისცა რამდენიმე წინადადება კრებას ამის აღსასრულებლად. კრებამ ძმეიდობიანად, დარბაისლურად გასინჯა უველა მისი წინადადება და გარდასწეეტა შემდეგი:

„სთხოვოს მისს მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობას პავლეს შუამავლობა უწესინოდის წინაშე, რომ მან ასესხოს 30,000 მანათი ოტის წლის ვადით, რომელიც ესლანდელ შეძლების-და-გვარად, სამ კატეგორიად გაიწერეს. პირველმა კატეგორიამ უნდა ისადოს ცხრა-ცხრა მანეთი წელიწადში, მეორემ ექვს-ექვსი, მესამემ ოთხ-ოთხი — გარდა ამისა მომავალ შენობისათვის გადასდეს 15,286 მან., რომელიც დღეს ნადად აქეს ეფეურ სამღვდელოებას. ამასთანავე დადგისეს, რომ შეძლებულ ეკლესიებმა ეფეულებიდგან ერთ დროთ გადიდოს 20% რაც კრების ფიქრით, შეადგენს 5,000 მანათს. *) ამ რიგად შესდგა შენობის აშენებისთვის 50,286 მან., თუმცა არხიეპეტორის სმეტით დადებული 64,648 მან., ახალ შენობის აღსაშენებლად. მაგრამ ეს მაქსიმალური ფასია. მომეტებულ ხაზინად ისე ხდება საქმე, რომ მოიკვრადრე სმეტაზედ საგლებად იღებს ხოლმე. აქაც უნდა ვიქონიოთ სახეში ის გარემოება, რომ მიწა მომავალ შენობის ქვეშ (1,121 კვ. ს.) მუქთად ებოძა სასწავლებელს ხელმწიფეს იმპერატორის მიერ, რისთვისაც წარსულმა კრებამ მადლობა უძღვნა არხიეპისკოპოსს პავლეს, როგორც შუამავალს. კრებამ თავის სმეტას დასძინა შემდეგი: „შეეთუ ეს ფული (50,286 მანეთი) არ ეყოს, შემდეგმ კრებამ იზრუნოს დანარჩენზედ“. ესეც რომ არ იყოს, ძაინც გაუჭირდებოდ შასრულებს ამ საქმეს. აქაურ სასულიერო წოდებას აქვს ძველი, უწინდელი სასწავლებლის შენობა, რომელსაც, თუ კი დაისაჭიროებს, გაჰყიდის არა ნაკლებ 8000—9000 მანეთისა და ეს სრულიად დაკმაყოფილებს საქმეს.

დავა შუა აზიაში

იმ კვირაში ტელეგრამამ მოგვიტანა ამბავი, რომ ემირი არ გაუშვებს აღანზე ინგლისის ჯარსაო. იქნება ეს ამბავი ნამდვილიც (?) იყო და ამ გარემოებამ აიძულა ინგლისი, რომ ამდენს ძვირფასს, რომელ ინდოეთია ეკუთვნოდა ავღანის ემირს. ინგლისი ჰპირდება ემირისა და ამის კანონიერის ჩამომავლობისათვის ძაბულის ტახტის დაცვას, და ყოველ-გვარს საშუალებას, თუ, ვინიცობაა, ავღანში რამ არეულობა მოხდა ოდესმე. შემდეგ ინგლისი კისრულობს დაიცვას ავღანი გარეშე მტერთაგან — მათ რიცხვში რუსეთისა და სპარსეთისაგანაც. ზარდა ამისა ინგლისი თან-და-თან გააერცელებს სუბსიდიას (ასი-ათას გირვ. სტერ.), რომელსაც ამ ჟამად აძლევს ემირს, თუ კი ეს საჭიროა იქნება; აგრეთვე ყოველის ლონით იმეცადინებს — მკვიდრად დაფუძნდეს ძლიერება ავღანის სახელმწიფოისა. — ნაცვლად ამისა ემირს აბდურაჰმანს სთხოვს ინგლისი: ერთი, რომ ავღანში დაუბრკოლებლივ შეეძლოთ მიმოსვლა ინგლისელ ვაჭართ და მოგზაურთ და რომ ამიერიდამ ყოველის ინგლისელისათვის ყოფნა ავღანში საშიშარი არ იყოს, მისი სიცოცხლე „ძაფზე“ არ ეკიდოს, როგორც ამ ჟამადაა, როცა ინგლისის წარმომადგენელად ძაბულის სასახლეში ინგლისელი კი არ არის, არამედ მაჰმადიანი — ქვეშევრდომი ინდოეთის იმპერატრიცასი; მეორე — ემირი დასთანხმდეს ულანდაარამდის რკინის-გზის გაყვანას, და თუ საჭიროება მოითხოვს ჰერათამდისაც; — დასთანხმდეს, რომ ინგლისელ აფიცრების ხელმძღვანელობით გამაგრდეს ავღანის ციხენი, ერთის სიტყვით, ემირი უნდა დასთანხმდეს ავღანში ინგლისის-ძიერ სეთის ზომების მიღებას, რომელთა ხმარებით შეიძლება ენერგიული წინააღმდეგობა გაეწიოს გარეშე მტერს: ამასთან აბდურაჰმანს ერთად-ერთ შომხრედ ინგლისი უნდა მიაჩნდეს და არავითარი გამოცხადებული, გინდ საიდუმლო მოლაპარაკება არ უნდა ჰქონდეს რუსეთთან.

National Zeiting-ი იწერება: რუს-ინგლისის ომი რომ ასტკდეს, პირველ ხანებში გამარჯვება რუსეთისაკენ იქნებაო. ჰერათი თითქმის ერთსა და იმავე მანძილზეა ინგლისის გზების ბოლოდამაც, სადაც უმთავრესი ბანაკია ინგლისელ ჯარებისა და იმ ადგილიდამაც, სადაც რუსის რკინის-გზა თავდება. მაგრამ რუსის ჯარს თეისის უმთავრესის ბანაკიდამ ჰერათამდის მოუხდება მხოლოდ ერთის მთის გადასვლა, მაშინ რ დესაც ინგლისის ჯარს წინ უძევს მთიანი და ერთობ ძნელად გასავალი ადგილი. სადავო ადგილზე შეგროვილი რუს-ს ჯარი ადვილად სძლევს ავღანელთ ჯარს იმ შემთხვევაშიც, თუ ამ უკანასკნელთ დაეხმარება 1,200 კაცი გენ. ლემს. დენის რაზმისა. ინგლის-ავღანელების უკანასკნელ ომის დროს ჰერათი სრულიად არ ექვემდებარებოდა ძაბულის ემირს და ჭკუაზედ ახლოა ვიფიქროთ, რომ ავღანში ინგლისელებს ის გულუხვად არ გაუმასპინძლდება, როგორც მოყლიან. რუსეთს ომის გამო ის უპირატესობა ექმნება კიდე ინგლისზე, რომ იგი ინდოეთს დაუწყებს მუქარას, მაშინ როდესაც ინგლისი

*) გარდა ამისა შეძლებისა-და-გვარად შეაწერეს ყოველ წლივ რამდენიმე გადასახადი ზოგიერთა ეკლესიებს ოც წლამდინ.

ვერავითარს გავლენას ვერ იქონიებს რუსის სამფლობელოებზე შუა-აზიაში.

სპარსულ გაზ. «Schems»-ში იწერებიან — რუსეთმა მოსთხოვაო შაჰს, ნება-რთვა გაიყვანოს თვისი ჯარი ასტრაბადში და აგრეთვე მერვში და სერახსში მდ. ატრეკით, 1829 წელს შეკრულის პირობის ძალით. შაჰისაგან პასუხი გაიგზავნაო, მაგრამ შინაარსი-კი ამ პირობისა არ უწყიან ჯერაო.

ლონდონიდამ ტელეგრამით იწერებიან ერთს ნემეც. გაზ., რომ მდ. კუშკაზე მომხდარმა შეტაკებამ იქ დიდი აღელვება გამოიწვიაო. რუსების შეტაკება ავღანელებთან ყველას ომის მიზეზად მიაჩნიათ; ისმის მუქარა შავს ზღვაში საომარი გემებისა და ჰერათში 75,000 ინდოელ ჯარის გაგზავნაზეო.

«Daily News»-ის მესხედელი (სპარსეთი) კორესპონდენტი იწერება, რომ რუს-ავღანელთ შორის შეტაკება ერთის მხრით ავღანელებისაგანაც იყო გამოწვეულიო. „ამ დღეებში აქ გავრცელდა ხმები, იწერება კორესპონდენტი, რომ ავღანელებმა გაგზავნეს ჰერათიდამ კარგა ძალი ჯარი. რუსის ჯარმა ზულფაგარის გასავლიდამ; სპარსეთის ტერიტორიაში მდებარე ჰულარში შეიფარა თავი. ბეჯითად ვერ ვიტყვი, რამდენად სარწმუნოა ეს ხმა, მხოლოდ ეს კია, რომ რუსის რაზმმა მართლა დასტოვა ადგილი, მაგრამ სით წავიდა, ეს არ ვიცით."

«Pall Mall Gazette»-ის კორესპონდენტისთვის უთქვამს სხვათა შორის გენ. ლესარს, რომ ავღანელების იერიშით მისვლა ზულფაგარზე დიდი შეურაცხებაა და ამაზედ რუსები პასუხს მისცემენ პენჯდეშიო. «მე ვიცნობ გენ. კომაროვს, უთქვამს რუსის აგენტს, კორესპონდენტის სიტყვით, ის ძალიან გამოცდილი გენერალია; თავხედურად არ მოიქცეოდა იგი. რომ საკმაო ჯარი გვყოლოდა ზულფაგარზე — ჩვენ უეჭველია მოწინააღმდეგობას გავუწევდით ავღანელებს. მაგრამ იქ მხოლოდ მცირე რაზმი გვეყვა და ვარჩიეთ მდ. კუშკაზე გვემოქმედნა».

«Globe» ამბობს, რომ გენ. კომაროვის უკანასკნელმა დეპეშამ უფრო აფუშ-დაფუშეს ნამდვილი ამბებიო. ამის შემდეგ მოლაპარაკებათა გაგრძელდება კიდე უბრალო დროს კარგვა იქნებოდა.

გაზ.: «პემტის ლოიდს» მდ. კუშკაზე შეტაკება რუსების მხრით ლონდონისა და პეტერბურგის კაბინეტთა შორის შეკრულის პირობის დარღვევად მიაჩნია.

გენ. ლუმსდენისაგან მიღებულმა ცნობებმა, მდ. კუშკაზე მომხდარის შეტაკების გამო, ვერავითარი დამამშვიდებელი გავლენა ვერ იქონია ინგლისის საზოგადოებაზედ. გაზეთები კვლავ სწამებენ ინგლისის მმართებლობას სილაჩრეს, გაუბედაობას და ამასში ხედვენ ყოველს ბოროტების მიზეზს. [illegible] გაყვა-ნის მაგიერობა ეხლა უფრო სხვა მძიმე საქმემ დაიჭირაო, ამბობს „Times"-ი. თუ რომ კომაროვი პასუხის გებაში არ მიეცა თავის მოქმედებისათვის, ინგლისმა ხმლით ხელში უნდა დაიცვას სახემწიფოს ინტერესებიო.

«მარტის 18-ს მომხდარ შეტაკებას, სწერს «Times»-ი. ჩვენ ვერ ვუწოდებთ უბრალო შემთხვევას.

ჩვენ ომი უნდა ავუტეხოთ მას და საბაბად გვქონდეს არა მარტო ავღანელების არამედ თვით ჩვენი საკუთარი ინტერესებიო... შემდეგ «Times»-ი განმარტებს რუსის ფინანსიურს მხარეს. რუსული გაზ. ,,Новости''-კი ამბობს, რომ ომამდის და ომის დროსაც რუსეთი არ მიმართავს ინგლისის კაპიტალისტებს და ომის შემდეგ კი ინგლისელები დიდის კმაყოფილებით მოგვცემენ ფულს, თუ-კი სასარგებლო პირობას დაუწერთ. რაც შეეხება გენ. კომაროვის გამოხმობასაო, რომელმაც გაბედა ავღანელების დასჯა, იწერება იგივე რუსული გაზეთი, რუსეთი უფრო მართალი იქმნებოდა და მეტი უფლებაც ექმნებოდა მას მოეთხოვა, რომ გენ. ლუმსდენი წაებძანებინათ ავღანიდამ; მას თუმცა არვინ დაუმარცხებია, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ინტრიგებს ავრცელებს.

«Times»-ს სხვურის კილოთივე იწერება მეორე ინგლისური გაზეთი ,,Daily Telegraph'': ,,რუსეთს, ამბობს ეს გაზეთი, მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენია; დაუყოვნებლივ დასაჯოს ყველა მონაწილენი მდ. კუშკაზე მომხდარის შეტაკებისა და სერახსში წაიყვანოს თვისი ჯარი. თუ რუსეთი უარს იტყვის — ინგლისსაც ერთი გზა ურჩება — გამოაცხადოს ომი, რომელსაც ამდენი ხანია ველოდებით. ინგლისი უნდა შეებას რუსეთს ხმელეთზედაც და ზღვაშიაც, მთელის ენერგიით; საბოლოოდ მისცეს დასასრული რუსეთისაგან მუდამ მოსალოდნელ შიშს და მით ინდოეთის სიმშვიდე და ხელშეუხლებლობა ალარ აფიქრებდეს.

„Standard"-ის სიტყვით ინგლისის კაბინეთი თვისს წარდგინებაში რუსეთის მმართველობასადმი ამბობს, რომ რუსის ჯარის თავ-დასხმა ავღანელებზე ამ ახლო ხანებში შეკრულის პირობის დარღვევას ნიშნავს და არ გამართლდება თუნდ მით, რომ იგი ავღანელების მოქმედებითაც ყოფილიყო გამოწვეული. გარდა ამისა ინგლისის კაბინეთი ითხოვს, რომ რუსის მმართებლობამ მოახდინოს განკარგულება რუსის ჯარების დაბრუნებისათვის ადრინდელს ადგილზედვე. უკანასკნელი მოთხოვნილების ასრულება მიუცილებლად საჭიროა მოლაპარაკებათა გაგრძელებისათვის. უმეტესობა ინგლისური გაზეთებისა იმ აზრისანი არიან, რომ თუ გენ. კომაროვის მოქმედება სამართლიანად იქმნა აღიარებული და რუსის ჯარები არ იქმნენ სერახსში დაბრუნებულნი, ინგლისმაც თვისი ჯარები უნდა წასწიოს ავღანის დამოუკიდებლობის დაცვისათვის.

სახუმრადღ აღარაა საქმეო, აბოლოვებს თვის ვრცელს წერილს «Pall Mall Gazette»-ი; ერთიმრუდე ნაბიჯი, მცირე აჩქარებული განმარტება საქმისა გამოიწვევს ევროპიულს ომსაო.

ტელეგრამები

საკუთარის კორესპონდენტისაგან.

ზუგდიდი, აპრილის 8, დილის 11 ს. 55 წამ. დღეს დილით ზუგდიდის მთელს მარჯვენა მხარეზე დაიწვა დუქნები და სახლები. ზარალი ძალიან დიდია. შენობები და საქონელი დაზღვეული არ არის.

,,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

აპრილის 5-ს.

პეტერბურგი. გამოცხადდა გადაწყვეტილება სახემწიფო რჩევისა, გადიდდეს ობლიგაციონური კაპიტალი სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების საზოგადოებისა, 29,535,750 მანათის დამატებითი ობლიგაციების გამოცემით და აგრეთვე გარდაწყვეტილება შესახებ შემოტანილი საქონლისა, რომელსაც არ ეხება ტამოჟნის ტარიფის ეხლანდელი განყოფილებანი. ესეთი საქონელი გადაწყვეტილია მიღებულ იქმნას, ღირსებისამებრ, ტარიფის იმ მუხლით, რომელსაც უფრო მიუდგება.

ორენბურგი. ურალზედ ყინული დაიძრა.

ლონდონი. ერთი გაზეთის რედაქტორთან საუბრის დროს რუსის ინჟინერმა ლესარმა გამოსთქვა, რომ რუსეთის მოთხოვნილების უპირველესი საგანი პენჯდე არისო, რადგანაც, ვიდრე ეს, ალაგი ავღანელებს ეჭირებათ, მშვიდობიანობა არ იქნებაო. ლესარს იმედი აქვს საქმის მშვიდობიანად გათავებისა. ,,Pall-Mall-Gazette''-ს იმედი აქვს, რომ კრიზისი მომავალ კვირას მორიგებით გათავდებაო. გაზეთი ,,Globe''-კი ამბობს, რომ ინგლისის მხრივ დიდი უგუნურება იქნება მოიცადოს, სანამ რუსეთი შეიარაღდება, რადგან იგი ამის შემდეგ ინგლისის დაკმაყოფილებაზედ ცივს უარს განაცხადებსო. დღეს შემდგარმა კრებამ ლორდ მერის თავმჯდომარეობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ რამდენიმე დეპუტატი, გადასწყვიტა: სთხოვოს მთავრობას, რომ დროით შეუდგეს გემების, იარაღის და მატროსების მომატებას. ,,Standard''-ი ამბობს: პეტერბურგიდამ მოსული უკანასკნელი ტელეგრამებიდამ სჩანს, რომ რუსეთის მთავრობას საქმის მშვიდობიანად გათავება უნდაო და პენჯდეში კომაროვისაგან დაარსებული დროებითი მმართველობა, მოლაპარაკებას არაფერს დაუშლისო. ,,Times'' ამბობს; თუმცა ინგლისი ცდილობს საქმის მშვიდობიანად გათავებას, მაგრამ შეიარაღება მაინც უნდა განაგრძოსო. სალისბიურის დაკითხვაზედ მართალიაო, რომ ბრიტანიის მთავრობამ პენჯდე დასთმოვო? გრანვილმა განაცხადა ლორდთა პალატაში, რომ ვერაფერს პასუხს ვერ მისცემს ამისთანა გამოურკვეველ კითხვაზედ. საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა დაამტკიცა ამბავი პენჯდეში დროებითი მმართველობის დაწესების შესახებ.

კარლოვიცი. მორავიის ნაციონალურ წრეების და სერბიის პატრიარხის ანგელიჩელას შორის უთანხმოება ჩამოვარდა წმინდა მეთოდის სახსოვრად დღესასწაულობის შესახებ: პატრიარხი არა რაცხავს საეკლესიო დღესასწაულად, იმის გამო, რომ კირილე და მეთოდი სერბიის სინოდისაგან წმინდათა შორის არ არიან შერიცხულნიო.

ზაგრები. ხორვატიულს და სერბიულ გაზეთებს შორის სასტიკი უთანხმოება ასტყდა იმის გამო, დაეხმარონ თუ არა მართლმადიდებელს ეკლესიას ადგილობრივის ბიუჯეტის საშუალებით.

პეტერბურგი. აპრილის 6-ს პოლშის სამეფოს და დასავლეთის მხრის რკინის გზებზედ უცხო-ქვეყნელთა მოსამსახურე პირების დათხოვნის შესახებ განკარგულებას, როგორც ამბობენ, ძალა ექნება ყველა სხვა გზებზედაც და ამასთანავე ჩართულია რკინის გზების წესდებაში, რომ მათზედ ყველა მოსამსახურე პირები რუსის ქვეშევრდომნი იყვნენ და უსათუოდ რუსული ენაც იცოდენ.

ტიან-ძინის კონსული ვებერი დაინიშნა საქმეთა გამგედ და გენერალურ კონსულად კორეაში.

ხმებია დავარდნილი, რომ სახემწიფო რჩევამ მცირეოდენის ცვლილებით მიიღო პროექტი ფულის შემოსავლიდამ ხარჯის აღებაზედ.

,,Новое Время''-ს გაუგონია, რომ გერმანიამ და ავსტრიამ გადაწყვეტით გამოუცხადეს ოსმალეთს — თუ იგი ინგლისისა და რუსეთის ფლოტს შეუშვებს დარდანელში, ბერლინის ტრაქტატი დარღვეულად ჩაითვლება და როგორც გერმანია, ისე ავსტრია განთავისუფლდებიან ყოველივე ვალდებულებისაგან. მაშინ ოსმალეთს ნება ექნება თვითონვე მოუაროს თავის თავს საკუთარის საშუალებით. ძალით შევა ფლოტი, თუ ოსმალეთის ნებართვით, — შედეგი ერთი და იგივე იქნება.

,,Journal de St-Pétersbourg''

ადარებს რა ინგლისის გაზეთების გამმაგებულს ლაპარაკს რუსეთის გაზეთების თავ-დაჭერილს ლაპარაკთან, ამბობს, რომ უკანასკნელს დროს ინგლისის გაზეთებმაც ხმა დაიმდაბლესო. ეს შემთხვევა იმედს იძლევა, რომ მწერლობა მალე დაიწყობს სჯას თუ მეგობრულად არა, თავაზიანად მაინც საყურადღებო საგნებზედ, რომელნიც ორივე სახელმწიფოს შეეხებიან და საქმეც მშვიდობიანად გათავდება, თუ რომ ორივე სახელმწიფოთა მთავრობანი დაბრკოლებას არა ნახვენ პარტიების გამმაგებაში და ერთმანეთის შეურაცხებაში.

ლონდონი. როდესაც ნორსკოტს პასუხს უგებდა, გლადსტონმა სთქვა, რომ მდ. კუშკაზედ მომხდარი საქმის შესახებ ჯერ დაწვრილებითი ამბავი არ მიგვიღიაო, მაგრამ ლემსდენისაგან მივიღეთ შიფრებით დაწერილი დიდი ტელეგრამა, რომელიც ეხლა ითარგმნებაო; ლემსდენის სხვა ტელეგრამებიდამ კი სჩანსო, რომ მარტის 16-ს რუსების აფიცრებს მიუღიათ რუსეთის მთავრობისაგან ბრძანება ჩვენთან შეთანხმების შემდეგაო; გლადსტონმა იმაზედ კი არაფერი სთქვა, თუ ეს ბრძანება რატომ შესრულებული არ იქმნა; რუსებისაგან პენჯდეს დაჭერის შესახებ მან არაფერი იცის; იცის მხოლოდ, რომ პენჯდეში დროებითი მმართველობა დაწესდა. ლემსდენი ტირპულში იმყოფება; ავღანში აჯანყების შესახებ აქ ჯერ არაფერი იციან.

ლონდონი. „Daily News“-ი ამბობს, რომ პალატაში გლადსტონის მიერ განცხადებას რუსეთთან მშვიდობით მორიგების ნიშნებად სთვლიანო. „Standard“ გვაუწყებს, რომ ინგლისმა რუსეთს ყოველივე სადავო საგნები დაუთმოვო: ახალი სამზღვარი ისე შორს დაიდება სამხრეთისკენ, როგორც რუსეთს უნდოდაო, მხოლოდ, იქნება, ზულფაგარი ავღანელებს დარჩეთო.

ბერლინი. მეორედ განხილვის დროს რეიხსტაგმა მიიღო პროექტი მოემატოს ტამოჟნის ხარჯი ხიზილალას 100 მაგივრად 150 მარკა ორკეც ცენტნერზედ.

აპრილის 7-ს.

პეტერბურგი. გაზეთის Современныя Извѣстія-ს გამოცემა ერთის თვით შეჩერებულ იქმნა იმ წესთა დარღვევის გამო, რომელნიც 1882 წელს ოქტომბრის 29-ს გამოეცხადათ უცენზურო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს.

რუსეთის ყველა კუთხეებიდამ მიღებული ტელეგრამები იცნობებიან, თუ როგორის ნეტარებითა და პატივით დახვდა ხალხი სლავიანთა პირველ-განმანათლებელთ მოსახსენებელ დღესასწაულს; ეს დღეობა განსაკუთრებულის დიდებით იდღესასწაულეს მოსკოვში, ხარკოვში, სადაც ამ დღესვე ჩაჰყარეს საძირკველი წმ. კირილესა და მეთოდეს სახელის ეკლესიისა, კიევში და ნიჟნი-ნოვგოროდში, და აგრეთვე ომსკში, ტაშკენტში, თბილისში და სხვა.

„Новое Время“ იწერება: ხმებიაო, რომ ვითომც რუსის მთავრობას ყველა მისგან წარდგენილ წინადადებაზედ ინგლისისაგან თანხმობა მიეღოს; დარჩა მხოლოდ წვრილმანი გასარიგებელი საქმეებიო.

დღეს დილით გარდაიცვალა ისტორიკოსი კოსტამაროვი.

კრონშტატი. გემების შეიარაღება კარგად მიდის; დღეს ბრძანება გამოვიდა, რომ ყველა საომარმა ხომალდებმა დაიწყონ მოქმედება, რაზმები მათს ეფროსებს ჩაჰბარდენ და ეძლიოთ მათ ზღვის ჯართა შესაფერი სურსათი.

მიღებულ იქმნა ოფიციალური ცნობა, რომ ჩინეთის მთავრობამ გამოაცხადა დეკრეტი, რათა ტიანძინის პირ-შეკრულობა დაცულ იქმნას; ჩინეთის ჯარებს ებრძანათ, რომ თონქინი დასცალონ. — აპრილის 4-ს ფრანცუზებმა ფორმოზას გარშემორტყმული ხომალდების ალყა ახსნეს.

სამარყანდი. ბუხარის მცხოვრებლებზედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გენერალ კომაროვის გამარჯვებამ.

ლონდონი. გლადსტონი სწერს პასუხს ხალხთა-შორებრივს საზოგადოებას, რომელსაც საგნად აქვს მშვიდობიანობის დაცვა სამედიატორო სამართლის შემწეობით, და ამბობს, რომ სახეში მივიღე საზოგადოების აზრი რუსეთისა და ინგლისის დავის მოსასპობლად სამედიატორო სამართლის შემწეობით, მაგრამ თან დასძენს, რომ არ ვიციო, ჩვენი მორიგება რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ჩვეულებრივის დიპლომატიურის გზით, თუ კი ამ უკანასკნელ შემთხვევაში არც ერთი ამ სახემწიფოთაგანის ღირსება არ იქმნება დამცირებულიო.

აპრილის 8-ს.

პეტერბურგი. „Новое Время“ ამტკუნებს დავარდნილს ხმას, ვითომც სახემწიფო რჩევაში სახემწიფო საადგილ-მამულო ბანკის პროექტზედ სჯა გადაედოთ; პროექტს განიხილვენ ან აპრილის დამლევს ან მაისის დამდეგს. ხმა ისმის, რომ სახემწიფო რჩევაში წარდგენილია წინადადება დაუმორჩილონ მთავრობის ზედამხედველობას რკინის გზების ტარიფები პირ და-პირ მისვლა-მოსვლისა ამ საგანსა და რკინის გზების კანონების ახალს პროექტს ერთსა და იმავე დროს განიხილვენ.

ნიში. სერბიის სკუპჩინა გაიხსნა გუშინ სიტყვით, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ავსტრიასთან და რუმინიასთან მეგობრული განწყობილება არისო; ბელგარიაზედ ნათქვამია, რომ უთანხმოების მოსპობა სამწუხაროდ სერბიაზედ არ არის დამოკიდებულიო.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 კ.
ახალქურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა —	—1	გ.	$2^1/_2$
მეორისა —	—1	გ.	2 კ.
იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის	—1	გ.	$4^1/_2$
მეორისა —	—1	გ.	3 კ.
მესამისა —	—1	გ.	$2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:			
პირველი ხარის. ლავაში	1	გ.	$4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში	1	გ.	$3^1/_2$
მესამისა —	—1	გ.	3 კ.
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	9 კ.
მეორისა —	—1	გ.	8 კ.
სუკი . . .	—1	გ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	—1	გ.	10 კ.
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—1	გ.	
მეორისა —	—1	გ.	

განცხადებანი

კბილის ექიმი-ქალი

პ. ს. როზენბერგისა

პაციენტებს ვიღებ ყოველ-დღე 10-დამ—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. ადრესი: ერევნის მოედანი, ნ. ვ. ზუბალოვის სახლი, მებელიანი ოთახები: იმპერიალი, სადგომი მე 2 №, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ. (3—1)

თბილისის თავად აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისაგან.

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ყველა წევრებს — დამაარსებელთ და მოვალეთ ბანკისას, რომ ბანკის წესდებულებათა 82 §-ის ძალით ამა მდგომარე წლის აპრილის 27-ს არწრუნისეულ თეატრის ზალაში დანიშნულია ბანკის ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც უნდა განხილულ და დამტკიცებულ იქმნენ შემდეგი საგნები:

1) ანგარიში წარსულის 1884 წლის ბანკის მოქმედებისა.

2) მოხსენება 1885 წლის ბანკის სამმართველოზე ხარჯის განხილვისა და დამტკიცებისა.

3) მოხსენება შესახებ არწრუნისეულის ქარვასლის და ბაღის ბანკის საკუთრებად შეძენისა.

4) მოხსენება იმ ქონებათა შესახებ, რომელნიც ბანკს დარჩა.

5) მოხსენება საზოგადო სხდომებში მონაწილეობის მისაღებად ვექილობათა შესრულებისა და წარმოდგენის შესახებ.

6) მოხსენება იმ საგნის შესახებ, რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას ქალაქს ბათუმშიაც.

7) მოხსენება დამფასებელთა და მათის კანდიდატების ამორჩევის წესის შესახებ.

8) ამორჩევა რიგისამებრ გამოსასვლელთ ბანკის სამმართველოსა და დამფასებელ კომისიის თავმჯდომარეების მაგიერთა.

9) ამორჩევა ზედამხედველის კომიტეტის წევრთა ამორჩევისა.

თავმჯდომარეს ზედამხედველის კომიტეტისა თ-დი. ი. ანდრონიკაშვილი.

(3—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანეთიდამ ათ მანეთამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს, კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი გ. ქართველიშვილი.

(25—9)

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და პირ საკუთარ შენობაში.

(14—7)

ჭურჭელი! ჭურჭელი! ჭურჭელი!!!

ძალიან ბევრია ინგლისის მაღაზიაში. იქვე ისყიდება ძალიან იაფად ერთი ნაჭერი მიწა მტკვრის პირზედ.

(10—8)

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Апреля 1885 г. სტამბა ა. ა. ალამეცკისა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.